ფრე “ლოკომოტივთან”

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 8 ივნისი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:0.

“ლოკომოტივი”: ლეონოვი, საუხი, ალექსანდროვი, კამზულინი, კალაიჩევი, კუზნეცოვი, პეტრაკოვი, ბადუსოვი (მუხანოვი), შიშკინი (შელესტი), ავერიანოვი, პანტელეევი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი (კოპალეიშვილი), შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (მ. მაჩაიძე).

მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები – 1:5. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კოპალეიშვილმა (2), ჯოხაძემ, ცავამ, ჟვანიამ.

ამ მატჩისთვის მეტოქეები დიამეტრალურად საწინააღმდეგო მაჩვენებლებით მოვიდნენ. საქმე მარტო იმაში როდია, რომ თბილისელები ჩემპიონატის ლიდერები იყვნენ, ხოლო “ლოკომოტივი” ცხრილის ქვედა ნაწილში, მე–15 ადგილზე იმყოფებოდა. ეს თავისთავად. ამას გარდა, გათამაშების ბოლო ტურებში თბილისის “დინამომ” ზედიზედ 5 მატჩი მოიგო (მათ შორის ერთი – თასზე), ხოლო “ლოკომოტივმა” ასევე ერთიმეორის მიყოლებით 4 ტურში განიცადა მარცხი, თანაც 3 – საკუთარ სტადიონზე, შინაური კედლების გარემოცვაში.

მაგრამ მარტოოდენ ასეთი მაჩვენებლებით არ განისაზღვრება მატჩის ბედი, მით უმეტეს, როცა ცნობილი ამბავია, რომ ლიდერის წინააღმდეგ, როგორც წესი, გაორკეცებული ძალით, მაქსიმალური მონდომებით იბრძვიან და ამ წესიდან გამონაკლისს, ჩვეულებრივ, არც აუტსაიდერები წარმოადგენენ ხოლმე.

ასეთი მონდომებით და ენერგიით იბრძოლეს ლიდერთან მასპინძლებმა, თუმცა პირველი 15–20 წუთის მანძილზე დინამოელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა თვალსაჩინო იყო. თავდასხმის სამეულს (ყიფიანი, შენგელია, ჩელებაძე) სისტემატურად უმაგრებდნენ მხარს დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, შეტევებში ხშირად ერთვოდნენ განაპირა მცველები კოსტავა და გ. მაჩაიძე, საიერიშო კომბინაციებში მონაწილეობდნენ ხინჩგაშვილი და სულაქველიძეც. ერთ სიტყვით, ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა მატჩის ამ პერიოდში მართლაც ლიდერისა და აუტსაიდერის ბრძოლას წარმოადგენდა.

მაგრამ განვლო ამ ოციოდე წუთმა და დინამოელებმა რატომღაც გაუმართლებლად მოუკლეს ტემპს, შეანელეს დაწოლა და ამან საშუალება მისცა “ლოკომოტივს” ორგანიზებულად, ნაკლები შეცდომებით ეწარმოებინა დაცვითი ოპერაციები. ბურთის პოზიციური გათამაშება მინდვრის შუაგულში აშკარად ხელს აძლევდა მასპინძლებს.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა კვლავ უმატეს შეტევებს, ისევ გააქტიურდა თავდასხმა, მეკარე ლეონოვს მოუხდა ძნელი ბურთების აღება დარასელიას, მ. მაჩაიძის, შენგელიასგან, მატჩის ბოლო ნაწილი ლოკომოტიველთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიშის გახსნა არ მოხერხდა და მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

“ლელო”, 10 ივნისი, 1980 წ.